

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ დირექტორის

# 24 29.05.2020 წ. ბრძანებით



სსიპ კოლეჯი "ოპიზარი"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

თმის მომსახურება

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- 365 2 2 11 03 ; T-599172005 ; 365 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებგვერდი: <http://opizarivet.ge/>

პროგრამის ხელმძღვანელი: ლია გელაშვილი

2020 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, ქართულ და ინგლისურ ენაზე , რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: - თმისა და სილამაზის მომსახურება / Hair and Beauty Services
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა 10119-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services

მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - თმის და სილამაზის მომსახურებები, კოდი 1012, აღმწერი - „შეისწავლის თმისა და სხეულის მოვლას“.

#### 4. მიზანი

პროგრამის მიზანია თმისა და სილამაზის სფერო უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრით, კერძოდ, თმის მომსახურებით

#### 5. დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

#### 6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

თმისა და სილამაზის მომსახურებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია პროგრამის „თმის მომსახურება“ საფუძველზე დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე: თმის ოსტატი, პარიკმახერი, თმის სტილისტი; პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 5141; 5142.
- ეროვნული კლასიფიკატორის - (ეკონომიკური საახეები) კოდები: 96.02.; 96.02.0

#### 7. სტრუქტურა და მოდულები:

„თმის მომსახურება“ მოიცავს 4 ზოგად მოდულს - ჯამური 10 კრედიტის მოცულობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 22 კრედიტის მოცულობით, 7 კონცენტრაციის მოდულს - ჯამური 25 კრედიტის მოცულობით; 1 არჩევით მოდულს - 4 კრედიტის მოცულობით; თმის მომსახურების კონცენტრაციის გავლის შემთხვევაში პირმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს **61 კრედიტი**;

მოდულის ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

**პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:**

- მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის: 61 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა, 11 თვე
- მოცულობა არაქართულენოვან სტუდენტებისათვის 76 კრედიტი,
- სავარაუდო ხანგრძლივობა 14 თვე

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	მენარმეობა 1	2
2	სამოქალაქო განათლება	2
3	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
<b>სულ</b>		<b>10</b>
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება	3
2.	მარკეტინგი და გაყიდვები	2
3.	ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე	3

4.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3
5.	ფრჩხილის, თმის, კანის ტიპები და დაავადებები	4
6.	სპეცხატვა და ფერთა თეორია	3
7.	დარგობრივი ინგლისური ენა	4
<b>სულ</b>		<b>22</b>

<b>კონცენტრაცია „თმის მომსახურების“ მოდულები</b>		
<b>№</b>	<b>მოდულის დასახელება</b>	<b>კრედიტი</b>
1.	თმის შეჭრის ტექნოლოგია	5
2.	თმის ვარცხნილობები	3
3.	თმის ღებვა	6
4.	თმის სპა პროცედურები	1
5.	თმის ქიმიური დამუშავების ტექნოლოგია	3
6.	პრაქტიკული პროექტი - თმის მომსახურება	1
7.	სანარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება	6
<b>სულ</b>		<b>25</b>

**არჩევითი მოდულები**

დარგობრივი რუსული ენა	4
<b>სულ</b>	<b>4</b>

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამის სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეჭრას თმა
2. სუბსტრაქტული სქემით აფორმიროს ძირითადი ფერები
3. მოახდინოს პალიტრის კლასიფიცირება

4. შეღებოს და გააღიას თმა
5. შეასრულოს თმის ქიმიური დახვევა და გასწორება
6. შეასრულოს სხვადასხვა სახის ვარცხნილობები
7. შეასრულოს წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება
8. შეასრულოს თმის სპა პროცედურები.

#### **9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

სსიპ კოლეჯს „ოპიზარი“ ჩარჩო დოკუმენტის” თმისა და სილამაზის მომსახურება" საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“

კოლეჯს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“, რომელიც ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულს ამავე ჩარჩო დოკუმენტის მოდულების კრედიტთა მოცულობის ( 57კრედიტი )არა უმეტეს 20 %-ისა.

#### **10.სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

პირს, კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მენარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., უესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

## **11. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა, უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „თმის მომსახურება“ განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

## **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

## **დანართი № 1.1 -სასწავლო გეგმა**

### **მოდულები:**

დანართი 1.2 მენარმეობა 1

დანართი 1.3 სამოქალაქო განათლება

დანართი 1.4 ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 1.5 ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 1.6 სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება

დანართი 1.7 მარკეტინგი და გაყიდვები

დანართი 1.8 ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე

დანართი 1.9 პირველადი გადაუდებელი დახმარება

დანართი 1.10 ფრჩხილის, თმის, კანის ტიპები და დაავადებები

დანართი 1.11 სპეცხატვა და ფერთა თეორია

დანართი 1.12 დარგობრივი ინგლისური ენა

დანართი 1.13 თმის შეჭრის ტექნოლოგია

დანართი 1.14 თმის ვარცხნილობები

დანართი 1.15 თმის ღებვა

დანართი 1.16 თმის სპა პროცედურები

დანართი 1.17 თმის ქიმიური დამუშავების ტექნოლოგია

დანართი 1.18 პრაქტიკული პროექტი - თმის მომსახურება

დანართი 1.19 სანარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება

დანართი 1.20 დარგობრივი რუსული ენა

დანართი 1.21 ქართული ენა A2

**პროგრამის განხორციელებისათვის პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები:**

ინდ. სანარმო „ველა“ ხელშეკრულება #5 10.03.2020

ინდ.სანარმო „პოდიუმი“ ხელშეკრულება #6 10.03.2020

სილამაზის სალომი „ქვინი“ ხელშეკრულება #7 10.03.2020